



დარიგება და ნუბეში

„ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად,
სანუგეშოდ და გასამხნევებლად“ (I კორ. 14, 3)

უბრალო დარიგება მართლმადიდებლური ეკლესიის გამოცდილებიდან

წმინდა ანგელოზების სახ. ქალთა მონასტრის სამთვიანი გამოცემა
ათიდნე ატიკა საბერძნეთი
№ 4 • ივნისი - აგვისტო 2014

✿ სარჩევი ✿

- ტექსტი № 1:** „დაქ, მოწყალება ჭარბობდეს მუდამ შენს სასწორზე“
ყოვლადგურთხული
დგომისმშობელი, წინამძღვარი
მართლმადიდებლური
ასკეტიზმისა
- ტექსტი № 2:** ყოველდღიური ამა-
სოფლიური ცხოვრების სიწმიდე
თავმოყვარეობის გადაღახვა:
ხაშუბურბლო ხიყვარული
- ტექსტი № 3:** წმ. იოანე ოქრო-
პირის ქადაგებანი მოწყალების
შესახებ
„ოპოზიციურა ყუთის“ ძალა
- ტექსტი № 4:** მომინების და
იმედის ნაკლებობა
„ღმერთო, მიიბარე სული
ჩემი!“
- ტექსტი № 5:** რწმენის, წმიდა ხაიდუ-
მლობებისა და ლოცვის ძალა
პათოლოგიური ხიყვარულის
ეშმაკული ხახათი
- ტექსტი № 6:** ერში მცხოვრი
ორი ქალის სათხოება მაკარი
დიდს დგაწლს აღემატა
მათ, გისაც კეთილი განზრას გა-
აქებს ღმერთი ანიჭებს სული-
წმიდის მადლისა და წყალობას
- ტექსტი № 7:** მნიშვნელობა და
გამოყენება – სიმბოლოები და
ცხოვრება
ხუფთა ტანილის ხახული



ყოვლადგურთხული ღვთისმშობელი,
წინამძღვარი
მართლმადიდებლური ასკეტიზმისა*

„დაქ, მოწყალება ჭარბობდეს მუდამ შენს
სასწორზე“

ღოდით გერთხული ქრისტიანონ სახარულით, რწმენითა და მო-
მოწიწებით მივიღოთ წინასწარმეტყველის მოწოდება: „მოდით,
აღვიდეთ მთასა მადლიანსა და ბარაქიანსა!“¹

აღვიდეთ ღვთისმშობლის „მთასა მადლიანსა და ბარაქიანსა“²
საქმებით, ანუ მართლმადიდებლური ასკეტიზმით.

და თუ ჩვენი ღვაწლი ჭეშმერიტად იქნება საამო ღვთისთვის,
მაშინ ღირსვეიქნებით დედა ღვთისმშობლის ახალი და საოცარი
სასწაულები ვიხილოთ და ვადიდოთ.

ყოვლადწმიდა ქალწულის სახით უჩვეულო სასწაულები
აღსრულდა. „ყველაფერი, რაც ღვთისმშობელ მართამს ეხება,
ახალია“³: მან უბიწოდ მუცლადიღო ჩვენი მაცხოვარი; იგი
უმამაკაცოდ გახდა დედა; მან შემოქმედს, რომელიც არაფერს
საჭიროებს, საკუთარი ხორცი უწილადა; ის გახდა საყოფელი
დაუტევარისა და განუსაზღვრელი დაუტევნელი სიტყვის საცხო-
ვრისად იქცა; და ბოლოს, მისი ყოვლაწმიდა სხეული არ განი-
ხრწნა, არამედ მიძინებისას მკვდრეოთ აღდგა და ზეცაში და-
ბრძანდა, რომელსაც ადიდებს მისი ძე და ღმერთი!...

* * *

დარიგება და ნუგეში

ყელაფერი, რაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ეხება, სასწაულია, ახალი და საოცარი, ბადებს მოწიწებას, გაოცებასა და განკვრეტას.

განგანსაკუთრებით თავისი ძის ამაღლების შემდეგ დედოფალი ჩვენი ღვთისმშობელი აგრძელებდა ასკეტურ ცხოვრებას, სადაც ახალი სასწაულის სახით გამოვლინდა ასკეტიზმისა და სიყვარულის.

ღვთისგან ბოძებული წყალობისათვის ღვთისმშობელი თავს ასე ვთქვათ, ვალდებულად თვლიდა მეტად გულმოდგინე ყოფილიყო მარხვაში, ლოცვაში, მუხლომოდრეკასა და სხვა დანარჩენ ღვაწლში”⁴.

ასე, ყოვლადგურთხეულმა დაგვიტოვა მაგალითი და როგორც უმწიკვლო წინამდღვარი გვასწავლის ჰეშმარიტ მართლმადიდებლურ ასკეტიზმს.

თავის თავად ასკეტიზმი მართლმადიდებელ ეკლესიაში მიზანს და ფასეულობას არ წარმოადგენს; ასკეტიზმი უნდა განვიხილოთ როგორც საშუალებაა, რომლის მეშვეობით თანდათანობით ვზღუდავთ თავმოყვარეობას საბოლოო განადგურებამდე, ასე მოიპოვება სიყვარულის უნარი; ასკეტიზმი -საკუთარი “მე- საზღვრუბიდან გაბედული გამოსვლაა, და ნიჭია საკუთარი თავის უარყოფით მოყვასის სიყვარულისა.

ჩვენ ვხედავთ, თუ ღვთისმშობელმა, რომელიც აცნობიერებდა ღვთის მიერ ბოძებულ ზებუნებრივ წყალობას, როგორ მიუძღვნა ცხოვრება ბოლომდე მადლიურებით ადსაგე ასკეტიზმს; ამგარადვე, ჩვენი საკუთარი ასკეზაც ღვთისგან მინიჭებულ წყალობად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც თავის ჯერზე უნდა ვუწილადოთ მოყვასს და ყველა არსებას.

ეს სსნის იმ ღრმა ჰეშმარიტებას, რომ საბოლოოდ მართლმადიდებლური ასკეტიზმი, რომელიც ჯვარია, წარმოადგენს ცხონების, სიხარულისა და თავისუფლების წყაროს.

* * *

როდებაც ჩვენი ასკეზა - ჰეშმარიტია, მასში გულმოწყალება ჰარბობს. **ჩვენი** ყოველი ასკეტური შრომა, რომელსაც გულმოწყალება თან არ ახლავს, ანუ რომელსაც მოწყალე და თანამგრძნობი გულის გარეშე სრულდება, ჰეშმარიტად ამაოა და საფრთხე ემუქრება ბოროტი სულების მიერ იყოს გამოყენებული.

წმიდანები საქმაოდ მტკიცედ და მკაფიოდ გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებას ქრისტეში ცხოვრების ამ არსებითი საკითხის შესახებ.

„და ყოველთვის ჰარბობდეს შენს სასწორზე

მოწყალება, სანამ არ შეიგრძნობ შენს გულში უფლის მოწყალებას მთელი სამყაროსადმი.“⁵

ასე რომ, არასდროს დაგვავიწყდეს, რომ ასკეტიზმი, როგორც მუდმივი ბრძოლა თავისმოყვარეობასთან, ეგოცენტრიზმთან და თვითკმაყოფილებასთან, ღვთის შეწევნით სსნის და ანთავისუფლებს ჩვენს გონებას ვნებებისადმი მონობისაგან, უბრუნებს წინანდელ, დაკარგულ სილამაზეს, განანათლებს და განაღმრობობს მას.

ამ ზებუნებრივ მდგომარეობაში ჩვენს გულში ისადგურებს ნათელი: „რამეთუ გონება იფლობა შენს ნათელში / და ნათდება და თვით ნათელი ხდება / შენი დიდების მსგავსად“⁶ მაგრამ ასევე ჭარბობს მოწყალება; “აღენთება გული ადამიანისა ყველა ქმნილებასა, ფრინველსა, ცხოველსა, თუ დემონისა და ყოველთა სულიერის მიმართ.“⁷

* * *

დაე ნათელი და მოწყალება, პოი, ყოვლა-დქებულო დედაო, გამუდმებით იღვრებოდეს ჩვენს უბადრუკ ყოფაზე, ასკეტის ჯვარზე გაკრულს, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს გულისთვის.

დაე, ნურასოდეს შეწყდეს მათი გაღმოღვენთება, რადგან შენ - ზეციური მეუფის, უფლის ყველა ნიჭისა და საუნჯის მცველი და დამმარხველი ხარ, არა იმისთვის, რომ თავად ამით დატკბე, არამედ იმისთვის, რომ გადასცე და გაუნაწილო ყველა ქმნილებას, გონიერსა და მგრძნობიარეს!“⁸



† ოროპითისა და ფილიის მიტროპოლიტი
კვიპრიანე († 2013)

(*) ურნალი „აგიოს კიპრიანოს“ № 339 / ივლისი-აგვისტო 2007, გვ. 57-58.

1) ესაა II 3. / 2) აბბ. 3. / 3) წმ. ანდრია კრეტელი, ტ. 97, გვ 1084 / სიტყვა 13, „ყოვლადწმიდა დედოფალ ღვთისმშობლის მინიჭებაზე“ (B). / 4) წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი „კიპრის ქარიტო“ (სათნოებათა ბაღი), გვ. 217ბ, შენიშვნა მე-3 გამოცემისთვის, ბასილი რიგოპულუ, თესალონიკი 1979 (წმ. გრიგოლ პალამაზე მითითებით). / 5) წმ. ისააკ ასური, „ღვაწლმონალითა სიტყვის კრებული“, გვ. 151, სიტყვა 34, „მუხლმონდრეკის შესახებ...., გამოცემა X, სპანუ, ათენი. / 6)

წმ. სემეონ ახალი ღვთისმშობლის მიტრი, „მრომანი“, ტ. III, გვ. 295, „საღრმოთო სიყვარულის გალობანა“, 39, გვ. 61-63. გამოცემა „მართლმადიდებლური სკა/ორთოდოქს კიპრელი“, თესალონიკი 1990. / 7) წმ. ისააკ ასური, როგორც ზემოდ, გვ. 306, სიტყვა 81, „სათნოებათა შორის განსხვავების შესახებ...“ / 8) წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი, როგორც ზემოდ, გვ. 217ა.

დარიგება და ნუგეში

ეოველდღიური
ამასოფლიური ცხოვრების
სიწმიდე

თაგმობარეობის
გადალახვა:
სამსხვერპლო
სიყვარული*



კოველ კვირას ტაძრის კიბეებზე მეტი და მეტი უპოვარი ჩნდებოდა.

ერთი თავის წამლებს აჩვენებდა, მეორეს ჩვილი ეკავა, მესამე აშკარად ნარკოტიკებს იღებდა...

ახალგაზრდა გოგო კიბეზე ადიოდა.

„დღე მშვიდობისა, ქალიშვილო ფული არ მინდა, მხოლოდ რამე საკვები“... • მათხოვარი საშუალო ასაკის იყო, მცვა გაცრეცილი სამოსი.

გოგონა შეჩერდა.

„დამელოდე ორი წუთი“, - თქვა მან და კიბეზე ჩავიდა. ის დაბრუნდა და ქუჩის ბოლოს რომ საფუნთუშეა, იქ ორი ყველიანი ფუნთუშა და პური იყიდა.

“აიღე”, - უპასუხა მას დაბრუნებისას, „ეს ახლა ჭამე, პური კი მერე“.

* * *

ნარკომანმა ეს რომ დაინახა, იფიქრა, მეც ხომ არ ვცადო ბედიო.

„ეი, გოგონა“, დაუძახა მას „იქნებ ზედმეტი სიგარეტი გქონდეს?“

ქალიშვილმა ხელი ჯიბეში ჩაიყო. „მე არ ვეწევი, მაგრამ აი აიღე და იყიდე.“

„იცი, იმ ფარდულში არ მომცემენ, მათთან ვიჩეუბე“...

ისევ დაბრუნდა, • ფარდული გვერდით კვარტალში იყო...

* * *

როდესაც მობრუნდა, ტაძრის კიბეებზე მჯდომამა მოხუცმა თხოვა წამლები.

„შვილო, სახლში ხომ არ გექნება ეს წამალი?“ - პკითხა მას და კოლოფზე მიუთითა. „ახლა არა, შენი შეწუხება არ მინდა... თუ შეგიძლია, მეორე კვირას მომიტანე“.

ხოლო ქალიშვილი ისევ უკან გაბრუნდა, • უკვე მესამედ.

ჩაჯდა მანქანაში და მორიგე აფოიაქში წავიდა, • რომელიც ოთხი კვარტლის მოშორებით იყო.

* * *

როდესაც, როგორც იქნა, გადააბიჯა ჰყლესის ზღურბლს, მღვდელი უკვე ქადაგებდა...

ქადაგებისას იგი კიცხავდა მათ, ვინც საღვთო იიტურგიაზე აგვიანებდა, განსაკუთრებით, წმიდა სახარებას ვინც ვერ დაესწრო.“


ხოლო დღეს წაკითხულ სახარებაში გიამბეთ „კეთილ სამარიტელ ზე...“, ამბობდა გულდაწყვეტილი მამაო...



(*) ბასილის არგირიადისის, “რამდენსაც შეძლებ”, მცირე სამოქალაქო პატერიკი, გვ. 25-27, გამოცემა “ენ პლო“. ათენი 2013.

ჩვენი წმიდა მიტროკოლის ახალი დამრიბებლური სერია

აქამდე გამოშვებულია შემდეგი გამოშვებულია შემდეგი გამოცემი:



1) აკლიმა თავდაპურულება უდა იღოცონ, 2) მხვდლელობა სზოდა აღდგომის ღლებასწაული, 3) მოწყვალება - საიმერების გული, 4) აღდგომა უფლისა „აკლიმა დღესასწაული, 5) „დედა ლილისმობრძალი მოუღოვდები სიხარული“, 6) მობლადრებიდა ღლისმშობლის სზოდა ხატი „ცოლ ვილია“, 7) შერძნის კურთხევა უფლის ვერისცალების ღლებასწაული.

დარიგება და ნუგეში

ს. იოანე ღმრთალის ქადაგებანი
მოწყვალების შესახებ

„დარიგ-დატაკთა უფის“ ძალა*

და სახლი ჩვენი იქცეს ტაძრად

Ωქ, სადაც ლოცულობ, ასევე ყუთი დაიდგი უპოვართათვის, და ყოველ ჟამს, როგორც ლოცვას შეუდები, ჯერ ჩააგდე მოწყალება, მხოლოდ ამის შემდეგ ოლოცე.

და როგორც ხელდაუბანელი არ ისურვებდი ლოცვის წაკითხვას, ასევე ნუ შეუდები მას მოწყალების გადების გარეშე.

მოწყალების სიყვარული ისეთი-ვე მნიშვნოლვანია, როგორც სახარების დადება სასოფტელთან. რა თქმა უნდა, თუ სახარება უბრალოდ დევს და შენ კანონებით არ იცხოვრებ, მაშინ მისგან არანაირი სარგებელი გექნება. პირიქით, ამ ყუთის დადებით ეშმაკის წინააღმდეგ აღიჭურვები, ფრთებს ასხამ ლოცვას, აკურთხებ სახლს, მასში საკვებს აგროვებ მეუფის ტრაპეზისთვის.

ეს ყუთი საწოლთან გედოს და ძილში არანაირი ეშმაკეული ხიბლი არ დაგძლევს. ოლონდ ნუ ჩადებ მასში იმას, რაც არაპატიოსანი გზით არის ნაშოვნი. რამეთუ - ეს მაოწყალებაა. ხოლო უსამართლო ხარკისგან გაღებული მოწყალება არასდროს გამოიღებს ნაყოფს.

* * *

გსურთ გაიგოთ, თუ რა მიზეზით უნდა გაიღოთ მოწყალება, რომ შეიმსუბუქოთ ეს მსხვერპლი?

დაე, ყოველმა ხელოსანმა, იქნება ის მეწარე თუ მჭედელი, ან სხვა რომელიმე ასპარეზზე მომუშავე, როდესაც გაყიდის თავის ნაწარმს, როგორც ღვთისათვის საპატიო გაღია, გასცეს შემოსაგლის მეათედი, მცირე ნაწილი, რომელიც ღმერთს ეძღვნება და ეპუთვნის. გავცეთ ჩვენც იძღვნივე, ცათა სასუფევლის მომლოდნელებმა, რამდენიც მრავალი ნაკლის მქონე იუდეველებმა.

შვილნო, არ ვითხოვ თქვენგან რაიმე ზედმეტის გაცემას, არამედ ზუსტად შემთსაგლის მეათედს, როგორც თავის ღროზე

გასცემდნენ ძველის აღთქმის სულიერი ჩვილნი. დაე, ამ კანონით ისარგებლონ მათაც, ვინც მრავალ მინდორველს ფლობს და უხვ მოსავალს იღებს, ასევე, ვინც პატიოსანი შრომით ირჩებს თავს. მაგრამ საუბარი არ მაქვს მათზე, ვინც მევახშეობს, არც იმ მეომრებზე, რომლებიც ძალით ართმევენ ქონებას სხვებს და მათ უბედურებაზე მდიდრდებიან. რამეთუ ღმერთს არ სურს მსგავსი წარმოშობის შემოსავლის მიღება.

ყოველივე ამას ვამბობ მათთვის, ვინც პატიოსანი გზით იძენს ქონებას.

და თუ შევეჩვევით მოწყალების ასეთნაირად გაცემას, შეუსრულებლობისას სინდისი შეგვაწუხებს; ეს კანონი ჩვენთვის რთულად შესასრულებელი აღარ იქნება, თანდათან უფრო მაღალ საფეხურზე ავალთ. ხოლო როდესაც ვისწავლით სიმდიდრის უგულვებელყოფას სიძულვილამდე და სრულიად ამოვშანთავთ ყოველთა

ბოროტების ფესტეს (ვერცლისმოყვარება), დარჩენილი ცხოვრების ბოლომდე შევიძენთ თავისუფლებას, ასევე ცხონების ღირსნი შევიქმნებით ჩვენი უფალის იესო ქრისტეს წყალობითა და კაცომყვარებით.

* * *

ამრიგად ყოველი ჩვენთაგანის სახლი იქცეს ტაძრად, სადაც დაცული იქნება ეს წმიდა საუნჯე. და, ჰემმარიტად, ეს ხაზინა საუნჯეს განასახიერებს.

სასადაც უპოვართოთვის ინახება ფული, იქ დემონები გერ აღწევენ. ღარიბებისთვის შეგროვილი ფული, სახლს იცავს უფრო მტკიცედ ვიდრე ფარი და მახვილი, იარაღი და ჯარისკაცთა სიმრავლის ძალა.



(*) ბ.მ. 18A, 732-738. PG 61, 373-374. წმ. იოანე ოქროპირი „მოწყალება - სათხოების გულია.“ წმ. იოანე ოქროპირის ქადაგბანი IV, მღვდელმონაზონი სპირიდონის სამმოს გამოცემა, ათონის მთის ახალი სავანე, გვ. 178-179, 285.

■ მოთმინების და იმედის ნაკლებობა

„ღმერთო, მიიბარე სული ჩემი!“*

ჩვენი მფარგელი ანგელოზისა და
ღვთისმშობლის კაცომოყვარება

ო ამდენი ადამიანი წამოიძახებს ხოლმე
ასე გაჭირვების ჟამს! მაგრამ უმე-
ტესობას არ ესმით, რომ ეს - ცოდვაა,
ნაკლებობაა მოთმინებისა და ღვთის წე-
ალობის და სასოებისა!

შემდეგი ამბავი ამას აშკარად ამტკიცებს.
ამის შესახებ მოგვითხობს დიდი მოწი-
წებითა და სიღრმისეული შეგნებით პა-
ტივცემული მდვდელი, რომელსაც ათენში
და მის შემოგარენში მრავალი სულიერი
შვილი ჰყავს.

* * *

„მას მერე, რაც სამდვდელო პირი
გავხდი, თან სულ მდევდა ცილისწამება
(თანამედროვე მოწამეობა). ასე თუ ისე,
სხვადსახვა ადამიანები მტკენდნენ გულს
და გაუთავებლად ცრუ
ბრალდებებს მდებდნენ. ასე-
თი რამ გამუდმებით ხდებო-
და. დიდმა მწუხარებამ მომი-
ცვა, დავიღალე და გულდა-
წყვეტილმა რამოდენიჯერმე
წამოვიძახე: „ღმერთო, მი-
იბარე ჩემი სული!“ და
ღმერთმა სული მართლაც
მიიბარა!...“

რამდენ ისმენდა, გაოცებული უყურებდა
მას, ფიქრობდა მათ დანაშაულის სიმბიმეზე,
ვინც უსამართლოდ ადანაშაულებს სხვებს,
განსაკუთრებით სამდვდელოებას... რამდენ
ცოდვას იდებენ, განსაკუთრებით მაშინ, რო-
დესაც ცილისმწამებლობით სასოწარკვეთილუ-
ბამდე მიყავთ მათი სულები და საკუთარ
თავს თითქმისდა ღმერთის ნდობააღჭურვილ
პირებად თვლიან, რომ განსაჯონ სოფელი...

თავმდაბალმა მდვდელმა განაგრძო თხრობა:

„ბუ გული გამიჩერდა. ეს ათენში მოხდა.
იმ დროს ნაცნობების და სულიერი შვი-
ლების გარემოცვაში ვიყავი. უმაღვე სა-
ავადმყოფოში მიმიყვანეს. იქ ექიმებმა
თავი არ დაზოგეს, რათა ჩემი გაჩერებული
გული კვლავ აემუშავებინათ, მაგრამ, ამაოდ.
ბოლოს თქვეს: „ვეღარაფრით ვუშეველით
მამაოს, გადაიყვანეთ პროზექტურაში!“



მე კი, რა აღარ გამოვცადე გარდაცვა-
ლების ამ ექვსი საათის განმავლობაში!
უბირველეს ყოვლისა, ჩემს გვერდით
ვგრძნობდი მფარველ ანგელოზს, ის
მფარველობდა დასაწყისში ფრიად მძმე
გზაზე, რომელსაც შემდგომში გასაოცარ,
უტკბილეს ნათებამდე მივყავდი.

გზის განვლისას ბოროტი სულები ღვარძლ-
მორეულები მიყვიროდნენ.

ერთერთი ბრალი ასეთი იყო:

- სად მიგავს ის? ის ვერცხლისმოყვარე
იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოუხვე-
ჭელობის აღთქმა დადო, საკუთარი თანხა
ქონდა!...

მაგრამ წმიდა ანგელოზი იგერიებდა ბო-
როტ სულს და ყველაფერს უარყოფდა:

- აი ეს კი სიმართლე არ არის! ფული,
რომელსაც ინახავდა, მონასტერს ეკუთვნო-
და, ის კი მხოლოდ განკარგავდა იმ თანხებს.

ბლივს ისეთ ადგილამდე მივაღწიეთ, რო-
მელიც ორი მხარის საზღვარს გავდა. იქ
ჩემი ანგელოზის და ყოვლადწმიდა ღვთის-
მშობლის საუბარი მოგისმინე.

მე დირსი გავხდი მისი უტკილესი ხმა მომესმინა,
თუმცა ის საკმაოდ მკაცრი იყო.

ჩემი ანგელოზი ეკითხებოდა:

- ყოვლადწმიდაო ღვთისმშო-
ბელო, შემიძლია შენი ძის სა-
სუფეველში შევიყვანო მამაო?

ან კი მიუგო:

- არა! მან მძიმე ცოდვა ჩაიდინა.

- რა ცოდვა, ჩემო ქალბატონო? კარგი მდვდე-
ლი იყო, - დაიწყო ჩემი დაცვა ანგელოზმა
და შეგიგრძენი მისი ცხარე ცრუმლები
კისერზე როგორ მეცემოდა!... - მან
მონასტერი ააშენა, დაცემულ სულებს
ეხმარებოდა...

- ეს სიმართლეა, - უპასუხა ღვთისმშო-
ბელმა. მაგრამ განსაცდელში მყოფმა
არ გამოიჩინა მოთმინება და გამუდმებით
თხოვდა ჩემს ძეს: „წაიყვანე ჩემი სული.“

ამიტომ, ის უგან დააბრუნე, რომ მოთმინებით
შეძლოს ბოლომდე ბრძოლა, მხოლოდ
მაშინ შეძლებს ჩემი ძის სასუფეველში
შესვლას.

უკან რომ ვარუნდებოდით მფარველმა
ანგელოზმა სამოთხე, მერე კი ჯოჯოხეთი
დამათვალიერებინა. ის რაც წმიდა სახარე-

გაბრძელება გვ. 7

დარიგება და ნუგეში

რწმენის, წმიდა საიდუმლოებებისა და
ლოცვის ძალა

პათოლოგიური სიყვარულის ეშმაკეული ხასიათი*

„მე მოვკალი ისინი...“



პრავალი წლის წინ ცხოვრობდა ქალი, რომელსაც ერთადერთი შვილი გადამეტებულად უყვარდა.

ის გაიზარდა, დაამთავრა სასწავლებელი და შესანიშნავი პედაგოგი გახდა. სკოლაში მან მშვენიერი თანამშრომელი გაიცნო და ცოლად შეირთო. სამწუხაროდ, ქორწინებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ გოგონა გარდაიცვალა.

ორი წლის შემდეგ შვილმა კვლავ შეირთო ცოლი, მაგრამ ისიც გარდაიცვალა უცნაური ავადმყოფობისგან, თანაც რვა თვის ორსული. სიმწრისგან მეუღლე კინაღამ შეიშალა. იმ დროს და იმ პატარა ქალაქში გარდაცვალების მიზეზის გასაგებად გაკვეთის გაკეთება თითქმის შეუძლებელი იყო.

გავიდა კიდევ სამი თუ ოთხი წელი და ამ ახალგაზრდა კაცმა მესამედ იქორწინა. ამჯერად ლრმად მორწმუნე, გამჭრიახე გონების და განსჯის უნარის მქონე ქალიშვილი შეირთო. • მან მალევე გააცნობიერა, თუ რამდენად სძულდა იგი დედამთილს. რარადგან მამამთილი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, მათ, სამწუხაროდ, ერთ ჭერ-ჭეშ უწევდათ ცხოვრება.

* * *

ასე, ახალგაზრდა მეუღლე ყოველ საღამოს ორი-სამი საათის განმავლობაში ლოცვად

დგებოდა, უპირველეს ყოვლისა უფალს თხოვდა გაენათებინა და სინანულისკენ მიექცია დედამთილი. • მაგრამ, მისდა გასაკვირად, ყოველ ჯერზე, ლოცვის დასრულებისთანავე ეწყებოდა პირლებინება.

ერთხელ ზაფხულში, სადილის შემდეგ, ჩვეულებისაბრ, დედამთილი მოსავენებლად თავის ოთახში გავიდა. როდესაც რძალი მის ოთახს მიუახლოვდა, ღია კარიდან შენიშნა, რომ დედამთილს გადასაფარებელი გადაეხადა, ის სიყვარულითა და ზრუნვით მივიდა მის დასაფარებლად. • და უეცრად დედამთილის ბოდვა მოესმა, ძილში ნათქვამმა სიტყვებმა რძალი შეაძრწუნა...

ამის მიუხედავად, ის აგრძელებდა ლოცვას, ყოველთვის უწინდელი შედეგით: ყოველ ჯერზე ლოცვის შემდეგ აღებინებდა.

* * *

ერთი წელიც არ იყო გასული, დედამთილი რომ ჭკუიდან შეიშალა. • ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაყვანამდე შვილმა და რძალმა სულიერ მოძღვარს მისთვის ლოცვების წაკითხვა სთხოვეს.

და აი, მოისმინეთ დაახლოებით რა აღიარა მან თავის ბოდვაში:

- „ეს მე მოვგალი ისინი, ის ორნი, ელენე და ეგდოქსია, რამეთუ შგილი მომპარეს! აი ეს კი - არ მოკვდა! არ მოკვდა! არ მოკვდა!...“

და ამ სიტყვებს „ის არ მოკვდა!“ მრავალჯერ იმეორებდა.

ამის გაგონებისას მღვდელი, შვილი და რძალი ფრიად შეძრწუნდნენ, გააცნობიერეს რა, თუ რატომ ემართებოდა პირლებინება რძალს ლოცვის შემდეგ: დედამთილმა ხომ წინა ორი რძალი მოწამლა.

თუმცა მესამე რძლის ცხოველმა რწმენამ, მაცხოვებელ საეკლესით საიდუმლოებებში მისმა მონაწილეობამ და გულმოდგრძელოცვამ გაანადგურა უბადრუკი დედამთილის ბოროტება, რომელმაც სავალალოდ დაასრულა სიცოცხლე ქ. თესალონიკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში...



(*) პროტოპრესვიტერი კ. ანაგონსტოპულოსი, „განვების მიერ რჩეულნი“, გვ. 123-124, გამოცემა II, პირე 2013.



ერში მცხოვრბი თრი ქალის სათნოება
მაკარი დიდს ღვაწლს ადემატა!

მათ, ვისაც კეთილი განზრახვა აქვს ღმერთი ანიჭებს სულიშმიდის გადლსა და წყალობას*

ერთხელ, ე ლოცვის დროს, ნეტარ მამას
ჩაესმა:

- **მაკარი,** შენ ჯერ კიდევ არ მიგიდწევია
ისეთი სრულყოფილებისათვის, რო-
მელსაც ქალაქში მცხოვრებმა ორმა
ქალმა მიაღწია...

თავმდაბალმა მოსაგრემ აიღო კვერთხი,
წავიდა ქალაქში, იპოვა სახლი, სადაც
ქალები ცხოვრობდნენ და კარებზე და-
აკაცუნა.

კეთილმსახურმა დიასახლისებმა სიხა-
რულით მიიღეს იგი.

ღირსმა მამამ უთხრა: „**შორეული უდაბნო-**
დან თქვენს გამო მოვედი. მინდა შევიტყო
თქვენი კეთილი საქმეებს შესახებ, მო-
მითხრეთ ყველაფერი, ნურაფერს დამი-
მალავთ“.

გაოცებულმა ქალებმა უპასუხეს:

- **ჩვენ** ქმრებთან ერთად ვცხოვრობთ და
არანაირი სათნოებები არ გაგვაჩნია.

* * *

მაგრამ წმიდანმა დაიჟინა და მას-
პინძლებმაც დაიწყეს:

- **ჩვენ** ღვიძლი ძმების მეუღლები
ვართ. ერთად ცხოვრების მანძილზე არც
ერთი ავი და საწყენი სიტყვა არ
გვითქვამს ერთმანეთისთვის, არც
არასდროს გვიჩხუბია. • **ქმრებს** ვთხო-
ვეთ, მონასტერში გავეშვით, მაგრამ არ
დაგვთანხმდნენ. • **მას** აქეთ აღთქმა
დაგდეთ, სიკვდილამდე ერთი ამათ
სიტყვაც არ წარმოგვეთქვა.

* * *

წმიდა მოსაგრემ ადიდა ღმერთი და თქვა:

- **ჭეშმარიტად,** უფალი არ დაეძებს
ქალწულებს თუ გათხოვილ ქალს, ბერს
თუ ერისკაცს, ის ადამიანის თავისუფალ
ნებას აფახებს და საც-
ხოვნებელ გზაზე
დამდგართ სულიწ-
მიდის მადლით წი-
ნამძღვრობს.



(*) პ. პასხოსი: „უდაბნოს დედები“, პცირე პატერიკი
III, გვ. 18-19, გამოც. „აკრიტას“, ათენი 2007.

გამრძელება გვ. 5

ბაშია აღწერილი – სრული სიმართლეა!
ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილებ!

როდესაც დავბრუნდით, ზიზღმორეული
შევედი მკვდარ და გაყინულ სხეულში. **გა-**
ვიდა არაუმეტეს რვა საათისა, სანამ შევძე-
ლი თითების ამოძრავება! **ქუთუთოების**
მოძრაობით ექთანდა პირველმა აღმოაჩინა,
რომ სიცოცხლეს დაგუბრუნდი. **ამ** ამბავმა
მოელი სააგადმყოფო შეძრა.

თანდათან გამოვეტდი და მას შემდეგ,
რაც უნდა მომიხდეს, ღვთის შეწევნით

ყველაფრის უდრტვინველად დათმენას
გვდილობ. ცათა სახუფეველი, ძმანო
ჩემთ, ძალდატანებით იღება და ჩვენი
მოთმინებით უნდა დაგიმსახუროთ სულის
ხსნა!“

* * *

ამით დაასრულა მოძღვარმა თხრობა,
ხოლო ბოლო სიტყვების წარმოთქმისას
მღელვარებისგან ხმა ჩაუწედა...

(*) ზეციური უწყებანი, ვარნაკის ყოვლადწმიდა
დათასმობლის სახელობის მონასტერი, დორიდა 2005,
გვ. 81-82.

დარიგება და ნუგეში

მნიშვნელობა და გამოყენება – სიმბოლოები და ცხოვრება

შექმნა მართლმადიდებლებს ყოველდღიურ ცხოვრებაში შეხება გვაქვს სანთულოთან, კანდილოთან, სეფის კერძოთან, ანტიღოროთან, ჯვართან; მონაწილეობას ვიღებთ ხუთი პურის კურთხევაში (არტო-კლასიაში), პანაშვიდში, სხვადასხვა საეკლესით საიდუმლოებებში და ა.შ.

ოუშა მათი ძეგლივად გამოყენების მიუხედავად, ჩვენ არც მათი მნიშვნელობა და არაც მათი გამოყენების წესი ვიცით.

სუზთა ცვილის სანთული*

მისი მნიშვნელობა

სუზთა რბილი სანთული, ჩვენს სული ნიშნავს, რომლის გამქნა შიძლება. • **მსგავსად** სანთულისა, რომელიც თანდათან იწვის და ანათებს, ღვთის მადლით ჩვენც უნდა „ვიწვოდეთ“ ბოლო ამოსუნთქვამდე, მსხვერპლად გავიღოთ საკუთარი თავი მოყვასისათვის. • **გარშემომყოფთათვის** უნდა ვანათებდეთ და ვეწირებოდეთ მათ, უწუმრად და დაფარულში, ქრისტეს სიყვარულისთვის.

ტაძრის სასანთლეში მდებარე სანთული ჩვენ „მკვდარი“ სული განასახიერებს. • **როდესაც** სანთულის შანდალზე ვდგამთ და დავანთებთ, - როგორც ქრისტეს აღდგომის პირველსახეს, - ჩვენ აღდგომისადმი რწმენას ვაღიარებთ. • **უწინ** სულიერად „მკვდარნი“ ვიყავით, მაგრამ ქრისტემ მკვდრეთით აღგვადგინა და ქრისტეს ლამპარები გავხდით: „ბრალეულობით მკვდარნი ქრისტესთან ერთად გაგვაცოცხლა“ (ეფეს. 11, 5).

როდესაც ჩვენ ვანთებთ სანთლებს დაკრძალვისას, პანაშვიდის დროს ან კოლიოზე, ამით მკვდრეთით აღდგომისადმი ჩვენს რწმენას ვაღიარებთ.

ასევე, აღდგომის დღესასწაულზე, სუზთა სანთლის ხელში დაჭრით ჩვენ „ქრისტეში“ საკუთარი აღდგომის რწმენას ვაღიარებთ. • **ურჯულონი**, უძმერონი და მოუნაიებელი არანაირ სარგებლობას იღებენ იმისგან, რასაც აღმსარებლობენ, რადგან სულიერად მკვდარნი არიან.

როდესაც ანთებული სანთლებით ვდგავარათ ნათლობის საიდუმლოებაზე, ჩვენ მონათლულის სულიერ აღორძინებას ვაღიარებთ. • **ქრისტესათან ერთად** ის იფლობა სანათლავის ემბაზში და მასთან ერთად თანააღდგება.

როდესაც ანთებული სანთლებით ვდგავართ ჯვრისწერის საიდუმლოებაზე, ვადასტურებთ, რომ სუზთა მოკაშკაშე სანთლებივით, უფლის მადლით ჩვენი ბაგშეგებისთვის ნათელ მაგალითად გიქცევთ და ჯგრისწერის გვირგვინს არ შეგურაცხვოთ.



სუზთა ცვილის თუ პარაფინის სანთული?

ღმერთს სურს, რომ მიყუდღვნათ მას ყველაზე სუფთა და ნატურალური. • **ასე** რომ, სანთულიც ფუტკრის სუფთა ცვილისგან უნდა იყოს დამზადებული. • **სამწუხაროდ**, ვაჭრობაში მოგების საერთო სწრაფვამ სანთლის დამზადებაზეც იქნია გავლენა. • **ვეცადოთ**, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სახლში მანც გამოყიუნოთ სუზთა სანთული. • **მღვდლებმაც** იქნიონ სასანთლეში, ასევე საკურთხეველშიც გამოყიუნონ მხოლოდ სუზთა სანთული.

მავალი სანთლის ანთებით ვაღებთ თუ არა მეტ სარკებლობას?

ბევრი სანთლის დანთების ჩვევა მცდარი მოსაზრებისგან მომდინარეობს და ხშირად ქმნის პრობლემებს. • **სავსებით** საქმარისია თითო ხატთან დავანთოთ ერთი ან ორი სანთული, ცოცხალთათვის და მიცალებულთათვის. • **როდესაც** მოწიწებით დავანთებთ სანთულს, ასე ვილოცოთ:

„უფალო, ღმერთო ჩემო, შენ - სამყაროს ნათელი ხარ. შემეწიე, რომ ჩემი ცხოვრებაც ჩაიფერფლოს მოყვასისადმი სიყვარულში და ანათებდეს ამ სანთლის მოკრძალებული აღის მსგავსად“.

ან უფრო მარტივად:

„უფალო, განანათლე ჩემი მმები და ახლობლები, და მიუტევე მიცალებულთა სულთა მმათა ჩემთათა“.

ბეტი ყურადღება გამოვიჩინოთ ცხოვრების მანძილზე, რამეთუ თუნდაც ჩვენი სიმაღლის ოდენა სანთული დავანთოთ, ვერ გვაცხოვნებს, თუ ჩვენ ცხოვრებას სინაული არ სდევს თან, არ ვამბობთ აღსარებას, არ ვლოცულობთ და ქრისტეს წმიდა საიდუმლოებებს არ ვეზიარებით.

(*) პროტოპრესკიტერი გეორგიოს ა. კალუზოს, მართლმადიდებლური ლიტურგიული ცხოვრების პრაქტიკული სახელმძღვანელო (ცხადი, მაგარამ ნაკლებად ცნობილი თემები), გამოცემა „ფოტოდოკტეს“, გვ. 8-10. ათენი 2008.

- **საფოსტო** მისამართი: წმიდა ანგელოზების სახელობის მონასტერი, 145 65 აგიოს სტეფანოს, ს.კ. 51891, საბერძნეთი. • **ელექტრონული** მისამართი (ე-მაილ): mhangels@otenet.gr • **ტელეფონი:** (+30) 22950 22582 • **ფაქსი:** (+30) 22950 22582 • **გამოიცემა** 8 ენაზე: ბერძნული, რუსული, ინგლისური, უკრაინული, ირალიური, შვედური, ჩეხური, ქართული (www.synodinresistance.org/Publications_en/OikodomisParamythia.html) • **გაიცემა** და იგზავნება უფასოდ. • **საბერძნეთის** ქეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანების ეკლესიის მისი ყოვლადუსამდგრელოებობა და ფილის მიტროპოლიტ კვიპრიანეს კურთხევითა და ზედამხედველობით.